სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

ბრძანება

22/12/2025

MES 4 25 0000010911

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი - სოფიო სახელაშვილი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 16 ივნისის N4410 ბრძანება.
3. ბრძანება გაეგზავნოს ადმინისტრაციულ სამმართველოსა და დაინტერესებულ პირს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
მაჭარაშვილი პავლე